საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №56
2023 წლის 24 თებერვალი

ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის №275 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის №275 ბრძანებაში (matsne.gov.ge, 19/11/2020, სარეგისტრაციო კოდი 190040000.22.033.017394) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ)“ (დანართი №1) V კარის 26-ე ჯგუფის 2601 სასაქონლო პოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2601	**მადნები და კონცენტრატები რკინის, გამომწვარი პირიტის ჩათვლით:**	
	– მადნები და კონცენტრატები რკინის, გამომწვარი პირიტის გარდა:	
2601 11 000	– – არააგლომერირებული	—
2601 11 000 01	– – – კონცენტრატები, რომლებშიც რკინის შემცველობა აღემატება 60%-ს	—
2601 11 000 02	– – – დანარჩენი	—
2601 12 000 00	– – აგლომერირებული	—
2601 20 000 00	– გამომწვარი პირიტი	—“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**